არ არსებობს დღეები, რომელშიც გაკეთებული კარგი საქმე უფრო მეტად საყვარელი იყოს ალლაჰისთვის, ვიდრე ამ დღეებში», იგულისხმება ზუ-ლ-ჰიჯჯას ათი დღე

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუავამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ არსებობს დღეები, რომელშიც გაკეთებული კარგი საქმე უფრო მეტად საყვარელი იყოს ალლაჰისთვის, ვიდრე ამ დღეებში», იგულისხმება ზუ-ლ-ჰიჯჯას ათი დღე, ჰკითხეს ო, ალლაჰის შუმამავალო, არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე? მან თქვა: «არც ჯიჰადი ალლაჰის გზაზე, გარდა იმ კაცისა, რომელიც საკუთარი სულით და ქონებით გავა ალლაჰის გზაზე და ორივეს დაკარგავს იქ».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ, აბუ დაუდმა მისი სიტყვებით]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ზუ-ლ-ჰიჯჯას თვის პირველ ათ დღეში შესრულებული კარგი საქმე უფრო კარგია, ვიდრე წელიწადის სხვა დღეებში შესრულებული საქმეები. საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) შეეკითხნენ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სხვა დღეებში შესრულებული ჯიჰადი უფრო კარგი იყო თუ ამ დღეებში შესრულებული კარგი ქმედებები? რადგან მათ იცოდნენ, რომ ჯიჰადი იყო ყველაზე საუკეთესო საქმე. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: რომ ამ დღეებში შესრულებული კარგი საქმე უფრო კარგი იყო, ვიდრე სხვა დღეებში შესრულებული ჯიჰადი, გარდა იმ თავდადებული მუჯაჰიდისა, რომელიც სწირავს საკუთას რულს და ქონებას ალლაჰის გზაზე, რომელმაც გახარჯა ქონება და შესწირა სული ალლაჰის გზაზე. ეს არის ის, რაც უკეთესია ამ ძვირფას დღეებში შესრულებულ სხვა ქმედებებზე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6255

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee